პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 ხუთშაბათი 27 მარტი № 72 (16198) ფასი 2 კაპ. 1975

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ შეჯიბრების მოწინავეთა შთაგონებულ შუშაობას მაღალი შეფასება ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ეხლნი ჩვენი სიამაყე და დიდება არიან. დამკვრელური შრომის შესანიშნავი მაგალითებით განსაკუთრებით მდიდარია მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დღეები. საუკეთესო მშრომელთა ნაყოფიერი გამოცდილება პრესის ყურადღების ცენტრშია.

სრული უფლება გვაქვს ვუწოდოთ ჩვენს პრესას მოწინავე გამოცდილების მახობრივი, კოლექტიური სკოლა. მისი კეთილშობილური მოწოდებაა პოულობდეს და საქმის ცოდნით უწევდეს პროპაგანდას შრომისა და მართვის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საუკეთესო ნიმუშებს, ხელს უწყობდეს მათ ფართო და სწრაფ გავრცელებას. განსაკუთრებით აქტუალური ხდება ეს მიმართულება პრესის საქმიანობაში ახლა, როცა პარტია ყველა საბჭოთა ადამიანი წყვეტენ ეკონომიკის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, შუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების ამოცანას.

მასობრივი ინფორმაციის ბევრი ორგანო სისტემატურად გამიზნულ და ქმედითს პროპაგანდას უწევს იმ შრომითი შეჯიბრების მოწინავეთა ხერხებსა და მეთოდებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაიშალა დევიზით „გამოვუწვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით“. გაზეთი „პრავდა“ „უკრაინი“ მასალების ხერხიანი „შრომის გმირები“ დამაჯერებლად აშუქებს მოწინავეთა მიღწევების სათავეებს, საქმიანად იღვწის გამოცდილების განმეორებისათვის. მოლდავეთის სსრ პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ენერგიულად დაუჭირეს მხარი ბენდერის ავტომშენებელ საბჭოველის ვალენტინა ფირსოვას თაოსნობას, რომელმაც ვალდებულება იკისრა შვიდ საათში შეასრულოს რვა საათის ნორმა, ყველას გააცნეს მისი შრომის ჩქარისნული ხერხები, ხუთწლედის წუთის დაფასების უნარი. და ცოტა როდია ასეთი მაგალითი, როცა პრესა ნაყოფიერად უწყობს ხელს მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა დანერგვას.

ხწორედ შრომთს კოლექტივში — შეჯიბრებისა და აღზრდის ცენტრში წყდება ახლის ბედი, უშუალოდ აქ ამაღლებენ წარმოების ეფექტიანობას, რაც შეიძლება სრულად იყენებენ რეზერვებსა და სიმძლავრეებს. პრესამ უფრო ზედიზედობით უნდა ასახოს შემოქმედებითი ძიება, ინიციატივა, რომლის მიზანია ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, თვითეული მანეთი კაპიტალური დაბანდების უკუგება გადიდება, წარმოების მოდერნიზაცია და რეკონსტრუქცია. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს „მოსკოვსკაია პრავდის“ მეცადინეობა, რომელიც ბევრ რამეს აკეთებს დედაქალაქის საწარმოებს, მათ შორის ლენინოვის სახელობის ქარხნის გაერთიანების საყურადღებო გამოცდილების პოპულარიზაციის მიზნით, მით უმეტეს რომ ეს საწარმოები პირადი შემოქმედებითი გეგმებისა და ვალდებულებების საფუძველზე ახორციელებენ წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განახლების კომპლექსურ პროგრამას.

ხუთწლედის დამამთავრებელ ეტაპზე მრეწველობისა და სოფლის შეურნეობის კოლექტივები გულდასმით აფასებენ მიღწეულს, ცდილობენ წარმატებით შეასრულონ 1975 წლის დაანგარიში, მაგრამ რეალური ვალდებულებანი და შეუხვედრი გეგმები, მოახდენონ რეზერვების მობილიზაცია. აქ საიმედო ორიენტირია შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილება, ლენინგრადის გაზეთები, მაგალითად, აშუქებენ, თუ როგორ იხმაბს ხარის შემხვედრ გეგმებსა და საწარმოთა შუშაობაში ქალაქის მშრომელების მიერ წამოწყებული ლენუნგი „მოწინავეთა შრომის ნაღალი ნაყოფიერებიდან კოლექტივის მაღალი ნაყოფიერებისაკენ“. სწორად იქცევა როსტოვის გაზეთი „მოლტი“, რომელიც ანალიზური პუბლიკაციებით ხელს უწყობს ოლქში ᲫᲮᲐᲠᲓᲐ მოძრაობის განვითარებას, რომლის მიზანი ის არის, რომ ხუთწლედის დამთავრებისას არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო და მეურნეობა.

მაგრამ არის ისეთი გამოცემანიც, სადაც მოწინავე გამოცდილების დანერგვასთან დაკავშირებულ პრობლემებს აშუქებენ უსისტემოდ, ულიმლამოდ, უპირატესად აღწერის თვალსაზრისით. მაგალითად, გაზეთმა „კომუნისტმა“ (სომხეთის სსრ) უკანასკნელ ხანს თითქმის დაივიწყა რუბრიკები „ახალი, მოწინავე — წარმოებაში“, „სიტყვა ეკუთვნით მოწინავეებს“, ამ მხრივ შემოქმედებითს წარმატებებს ვერ დაიკვეხნიან ეერც „კაზახტანსკაია პრავდა“, „ომსკაია პრავდა“, „სოვეტსკაია ჩუვაშია“ და ზოგიერთი სხვა გაზეთი.

მოწინავე გამოცდილების გავრცელება ვერ ურიგდება ფორმალური, კამპანიარ მიდგომას. და სწორედ ამ მხრივ სცოდავენ ჯერ კიდევ ცალკეული რედაქციები: თავდაპირველად აურნაურიან რეკლამას გაუკეთებენ ამა თუ იმ ინიციატივას, მაგრამ მალე ივიწყებენ და შუაგზაზე ჩერდებიან. ამავე დროს პრესის ფუნდამენტალური ორგანო მოწოდებულია იყოს სიახლეთა დანერგვის ᲫᲣᲛᲐᲠᲘᲐᲚᲘ, კოლექტიური ორგანიზატორი, თანმიმდევრულად უბერდეს მხარს დამკვრელებსა და ნოვატორებს, შეურიგებლად ებრძოდეს ფორმალიზმს, დამყაყებულობასა და ბიუროკრატიზმს.

პრესის განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება შრომითს თაოსნობას, რომელმაც მთელ საბჭოთა კავშირში გაითქვა სახელი. გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს რედაქციათა ვალია ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ნიკოლოზ ზლობინის ბრიგადის მშენებელთა, სარატოველთა უდიფექტო მუშაობის შრეკინოელთა მაგალითისამებრ წარმოებისა და მართვის სრულყოფის, „ათასთა ხელშეკრულების“ მონაწილეების კოოპერაციის და სხვათა ეფექტიანი შეთოდების მახობრივ გამოყენებას.

კომუნისტური მშენებლობის ახლანდელი მასშტაბური და რთული ამოცანები მოითხოვენ, რომ პრესის მუშაკები საფუძვლიანად ეცნობოდნენ ნოვატორთა შემოქმედებითს ლაბორატორიას. ბეჭდვითი სიტყვის ანალიზური სიღრმე, მისი ქმედითობისათვის ზრუნვა თანაბრად საჭიროა იმისათვის, რომ გავაშუქოთ დადებითი გამოცდილება, გავაკრიტიკოთ ჩამორჩენილობა და კონსერვატიზმი.

უფრო მკაფიოდ, კონკრეტულად უნდა გავაშუქოთ პარტიულ ორგანიზაციათა წამყვანი როლი ხუთწლედის დაჩქარებულთა გამოცდილების გავრცელებაში, ისეთი ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც სტიმულს აძლევს მეურნეობის გაძღოლის საუკეთესო მეთოდების კოლექტიურ ძიებას, რაციონალიზატორულ აზრს. თავის მხრივ პარტიული კომიტეტებიც უფრო ხშირად და მტკიცედ უნდა უჭერდნენ მხარს გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს ყველაზე მნიშვნელოვან, აქტუალურ გამოსვლებს საქმისადმი ინიციატივიანი მიდგომის დასაცავად.

პრესის კეთილი სიტყვა ახლის შემოქმედთა შეხახე აღზრდისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მორალური წახალისების მძლავრი საშუალებაა. მოწინავე მუშას დღეს, აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვაში პროფკავშირთა XV ყრილობაზე, აქვს „ღრმა ცოდნა, ფართო კულტურული ჰორიზონტი, შეგნებულად და შემოქმედებითად ეკიდება შრომას, იგი თავს გრძნობს წარმოების ბატონ-პატრონად, ადამიანად, რომელიც პასუხს აგებს ყველაფრისათვის, რაც ჩვენს საზოგადოებაში ხდება“. დე ეს შესანიშნავი თვისებები ღირსეულად აისახოს პრესაში.

მოწინავეთა გამოცდილება ჩვენი პრესის მუდმივი მაგისტრალური თემაა. მისი უნარიანი პროპაგანდა იმას ნიშნავს, რომ ვამრავლოთ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის საუკეთესოთა-სახალხო შეჯიბრების წარმატებანი.

ПРАВДА

26 მარტის მოწინავე

მეცხოველეობა — დამკვრელური უბანი

29-30 მარტს მეცხოველეობის ფერმების დათვალიერებაა

საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეები, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის. ქსწრაფვიან ამაღლონ პირუტყვის პროდუქტიულობა, გაადიდონ მისი სულადობა. მათი მეცადინეობა მიზნად ისახავს იმას, რომ თვითეული ძროხის წველადობა გაზარდონ სულ ცოტა 1.600 კილოგრამამდე, სახელმწიფოს ჩაბარონ უმაღლესი და საშუალო ნასუქობის პირუტყვი. ამ ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა არა მარტო წარმატებით დავამთავროთ პირუტყვის ჯამოზამთრება, არამედ ვიზრუნოთ აგრეთვე ზაფხულში მისი მოვლისათვის.

29-30 მარტს რესპუბლიკაში გაიმართება მეცხოველეობის ფერმების საზოგადოებრივი დათვალიერება. მისი ორგანიზებული მოწყობის საკითხებს მიეძღვნა დათვალიერების მონაწილეების — მეცხოველეობის სპეციალისტების თათბირი, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოიწვია. დათვალიერების მიზანია დარაზმოს მეცხოველეები პირუტყვის გამოზამთრების წარმატებით დამთავრებისათვის, პროდუქციის წარმოების ტემპის დაჩქარებისათვის, პროგრესული ტექნოლოგიისა და შრომის სრულყოფილი ორგანიზაციის დანერგვისათვის.

თათბირის მონაწილეთა მთავარი ყურადღება დაეთმო იმ საკითხს, რომ საჭიროა გულდასმით გაეცნონ საქმის მდგომარეობას ფერმებში, რათა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან დათვალიერების დროს გამოვლენილი ნაკლოვანებანი, დაეხმარონ მეცხოველეებს პირუტყვის გამრავლებაში, მისი პროდუქტიულობის გადიდებასა და დარგის გაძღოლის კულტურის ამაღლებაში. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ — ᲑᲐᲛᲖᲔ

1. გუშინ საღამოს თბილისიდან ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე გაემგზავრა მშენებელთა რაზმის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები.
ამის შესახებ წაიკითხეთ გაზეთის მე-2 გვერდზე.

ᲒᲚ. ᲞᲘᲜᲖᲐᲣᲠᲘᲡ ფოტორეპორტაჟი.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲒᲣᲐᲑᲘᲡ

25 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდნენ კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს, სახელმწიფოს მეთაურს, სახელმწიფოთ საბჭოს თავმჯდომარეს მ. ნგუაბის, კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, საგარეო ურთიერთობის საკითხებისათვის პასუხისმგებელს პ. ნზეს, კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პრემიერ-მინისტრს მოადგილეს, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მინისტრს შ. ნგუოტოს, კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, დაგეგმვისათვის პასუხისმგებელს, სახელმწიფო მინისტრს ჟ. ოკანზას, კონგოს სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს დ.-შ. განაოს და ჰქონდათ მათთან აზრთა ურთიერთგაზიარება ბევრ საკითხზე.

მ. ნგუაბმ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვის კონგოელი ხალხი კონგოს შრომის პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის და სოციალისტური ორიენტაციის გზით მისი განვითარებისათვის. მან მადლობა გადაიხადა იმ დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი კონგოელ ხალხს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა დიდი პატივისცემა კონგოელი ხალხისადმი, რომელმაც მოიპოვა ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, უსურვა კონგოს შრომის პარტიას და კონგოს სახალხო რესპუბლიკის ხალხს წარმატებანი პროგრესული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ კვლავაც ისწრაფვიან გააფართოონ და გააღრმაონ საბჭოთა კავშირ-კონგოს ურთიერთობა, გაავითარონ პარტიათა კავშირურთიერთობა, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა და საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

საუბრის დროს განიხილეს მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო საკითხები.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს ესწრებოდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, სსრ კავშირის ელჩი კონგოს სახალხო რესპუბლიკაში ე. ი. აფანასენკო, კონგოს სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ჟ.-პ. ნონო. (საკდესი).

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ

26 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პორტუგალიის დროებითი მთავრობის შრომის მინისტრი ჟოზე და კოშტა მარტინში.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-პორტუგალიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

კ. მარტინშმა გააცნო შეიარაღებული ძალების მოძრაობისა და პორტუგალიის მთავრობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დემოკრატიისა და პროგრესის შემდგომი განვითარება ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის სახელით ნ. ს. კოსიგინმა გამოთქვა იმ ღონისძიებებისადმი სოლიდარობა, რომლებსაც პორტუგალიის დროებითი მთავრობა და შეიარაღებული ძალების მოძრაობის რევოლუციური საბჭო ახორციელებენ ახალი დემოკრატიული პორტუგალიის მშენებლობაში.

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ-ᲨᲐᲠᲚ ᲒᲐᲜᲐᲝᲡ

26 მარტს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს საუბარი კონგოს სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით-შარლ განაოსთან.

შეხვედრის დროს მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი იმ საკითხებზე, რომლებიც განხილვის საგანია საბჭოთა კავშირში კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის მარიან ნგუაბის ვიზიტთან დაკავშირებით. მხარეები შეეხნენ საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ პრობლემას, მათ შორის აფრიკის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საუბარი მეგობრულ და კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

25 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა ნ. შელეპინმა მიიღო მოსკოვში მყოფი კონგოს სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრი — კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროფკავშირული კონფედერაციის გენერალური მდივანი ა. კონდო.

გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს საბჭოთა კავშირისა და კონგოს პროფკავშირების ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე ორივე მხარისთვის საინტერესო აფრიკისა და საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის პრობლემები.

შეხვედრა გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა. (საკდესი)

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

კანდიდატთა დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

რესპუბლიკაში გრძელდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანდიდატთა დასახელება. კომისიაში კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი კრებები იმართება მაღალ-პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, დიდი პატრიოტული აღფრთოვანებით. კრებები ნათლად მოწმობენ პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, იმას, რომ მშრომელები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება მშრომელთა ინტერესებისათვის, ხალხის საკეთილდღეოდ. ამ ზრუნვის პასუხია შუშათა, კოლმეურნეთა, სახალხო ინტელიგენციის, ყველა მშრომელის გმირული შრომა.

ახლანდელი საარჩევნო კამპანია ხელს შეუწყობს რესპუბლიკის მშრომელთა აქტივობის ამაღლებას საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით რეალიზაციისათვის. ამას მოწმობენ შრომითი კოლექტივების საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებები, რომელიც ეძღვნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანდიდატთა დასახელებას.

გაიმართა ცხინვალის რაიონის არეკეის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის შუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანდიდატის დასახელებას.

კრებაზე გამოვიდა საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. პარასტაევი, რომელმაც წინადადება წამოაყენა კომისიაში დასახელონ არეკეის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველი ფ. ა. ვალიევა. კომკავშირელი ფ. ვალიევა 1971 წლიდან მწველადაა შუშობს და ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. მარტო 1974 წელს მან ადგილობრივი ჯიშის 15 ძროხაზე, რომლებსაც ეგი ვლიდა, საშუალოდ მიიღო 1.160 კილოგრამი რძე, მთლიანად შეეხარბუნა ნამატი.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირმა ა. ბიჭიკაევმა, მწველ ᲛᲐᲨᲐ ნ. ილაურამ, ვ. კაზიევამ, არეკეის საშოალო სკოლის დირექტორმა პ. ალბერიევმა და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ ფ. ა. ვალიევა საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწველია. იგი დაახასიათეს როგორც აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი — მოწინავე მწველავი საბჭოთა ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატია.

კრებამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება ფ. ა. ვალიევა ოსეთის ასახელოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

რესპუბლიკის კულტურის მუშაკთა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დასახელოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე **შ. ვ. ყარყარაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივისაგან დასახელებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ნ. ვ. დურმიშიძე.** ეს გადაწყვეტილება მიიღო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის საერთო კრებამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბოლნისის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან დასახელებულია ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მ. ფ. ალიევი.**

გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გაფართოებული სხდომა. სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან დასახელონ რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივანი **რ. ა. ჯაფარიძე.** (საქინფორმი).

ᲒᲐᲛᲑᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

25 მარტს ტაშკენტიდან სიმფეროპოლს გაემგზავრნენ გამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დაუდა კ. ჯავარა და მისი თანმხლები პირნი.

იმავე დღეს დაუდა კ. ჯავარა და მისი თანმხლები პირნი სიმფეროპოლში ჩავიდნენ. (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური, იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სამთავრობათშორისო ეკონომიური თანამშრომლობის კომიტეტის იუგოსლავიის ნაწილის თავმჯდომარე ბერისლავ შეფერი 26 მარტს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

ბ. შეფერთან ერთად იყვნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მილორად პეშინი, იუგოსლავიის სამეურნეო პალატის თავმჯდომარის მოადგილე, მილორად სტანოევიჩი, მთავრობის წევრის მრჩეველი და ბ. შეფერის კაბინეტის შეფი სავა ნადრლიანსკი.

გ. დ. ჯავახიშვილი მიესალმა სტუმრებს და აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სამთავრობათშორისო ეკონომიური თანამშრომლობის კომიტეტის XII სხდომას, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს. მან გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და გაღრმავდება ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. შეფერსა და დელეგაციის წევრებს უსურვა წარმატებანი მათს მისიაში, დასახულ ამოცანათა შესრულებაში.

ბ. შეფერმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ვითარდება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა, იზრდება საქონელბრუნვა. ჩვენ ამას ვესწრაფვით, განაცხადა მან, რომ სსრ კავშირთან თანამშრომლობა სულ უფრო გაღრმავდეს და მრავალმხრივი გახდეს.

იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურმა შემდეგ დამსწრეთ გაუზიარა რესპუბლიკაში ყოფნის შთაბეჭდილებანი. ჩვენ დავთვალიერეთ თქვენი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, თქვა მან, რამაც წარმოდგენა მოგვცა იმ დიდ აღმშენებლობითს მუშაობაზე, რომელიც საქართველოს მიწა-წყალზე წარმოებს.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კიკნაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ო. ე. ჩერქეზი, ვ. ი. ვადაჭკორია, ე. მ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. აბელედიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოს გამგე გ. ლ. ხუნდაძე.

დამსწრეთა შორის იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ი. სანიკოვი, რომელიც სტუმრებს ახლავს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე.

□

26 მარტს იუგოსლავიის მთავრობის დელეგაცია ბ. შეფერის მეთაურობით, სოხუმში გაფრინდა. მოგზაურობაში მას ახლავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია. (საქინფორმი).

ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია — გეგმის გადამეტებით!

120 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება — ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ 279 ᲓᲦᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის სასიცოცხლო ძალა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის ათი წლისთავს ეძღვნება სრულიად საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც განიხილავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს თანამედროვე ეტაპზე. 25 მარტს გაიმართა სექციების სხდომა.

სხდომებზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის თ. დ. კულაკოვის მოხსენებაში კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, აგრეთვე სხვა მოხსენებებში. ყოველმხრივ არის გაშუქებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ისტორიული მნიშვნელობა, დამაჯერებლად არის ნაჩვენები პარტიის აგრარული პოლიტიკის სასიცოცხლო ძალა და ნაყოფიერება.

ერთ-ერთი სექციაა „სოფლად ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფის პრობლემები". ამ პრობლემაზე თეორიული დებულებები განზოგადებული იყო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის საბჭოთა ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელის პროფესორ გ. ი. ზნირენკოს მოხსენებაში.

მოხსენება „პარტიის პოლიტიკა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დარგში" გააკეთა სსრ კავშირის დამზადების მინისტრმა გ. ს. ზოლოტუხინმა. მან თქვა, რომ ახლა სოფლის მეურნეობის მთელი სასაქონლო პროდუქციის თითქმის 90 პროცენტს მომხმარებელი იღებს სახელმწიფო დამზადების სისტემის საშუალებით, რომელიც მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

სექციის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე სკკპ ტამბოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ჩორნი, სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. შიბაევი, სკკპ-კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ხ. თ. მდუნოვი, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ლ. ი. ფლორენტიევი და სხვები.

სექციაში, რომელიც განიხილავდა საბჭოთა სოფლის სოციალური და კულტურული განვითარების პრობლემებს, მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ კომლეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიურმა განვითარებამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ ფართო პერსპექტივები დასახა სოფლად ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებისათვის. განიხილეს მრავალი საკითხი, რომლებიც ეხება ამ ბოლო ათი წლის მანძილზე საბჭოთა სოფლის განვითარების ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ამ ბოლო ათი წლის მანძილზე საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი ღრმა ცვლილებები იყო პარტიის აგრარული პოლიტიკის იმ კურსის შედეგი, რომელიც შეიმუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე და შემდგომში განვითარდა მომდევნო პლენუმების, სკკპ XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებებში.

მარქსისტულ-ლენინური აგრარული თეორია სოფლად ეკონომიური და სოციალური გარდაქმნების იდეური წყაროა, აღინიშნა გამოსვლებში. ეს იმი დაწერილებით განიხილა მოხსენებაში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პრორექტორმა პროფესორმა პ. ა. იგნატოვსკიმ.

წარმოების ზრდა განუყრელად არის დაკავშირებული სოფლის მშრომელთა სოციალურ-პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლებასთან, თანამედროვე პირობებში ამ პროცესების ანალიზს მიუძღვნა თავისი გამოსვლა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ე. მალანჩუკმა.

სოფლის სოციალური საკითხების გადაწყვეტაზე სამეურნეობათშორისო სპეციალიზაციისა და წარმოების კონცენტრაციის გავლენა გააშუქა მოხსენებაში პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ბ. ერმინმა.

სოფლის სოციალური და კულტურული განვითარების პრობლემები განიხილეს აგრეთვე მოხსენებებში პარტიის კიროვოგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. მ. კობილჩაკმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ნ. ობაშევმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორმა მ. ტ. იოვჩუკმა, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. თ. სუსლოვმა, საკავშირო პროფსაბჭოს პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი სკოლის რექტორმა გ. ვ. შარაპოვმა და სხვებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმს უკავშირდება ძირეული ცვლილებები სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებში, პარტიული კადრების თვისებრივ შემადგენლობაში. ეს ითქვა მოხსენებებში სექციაზე — „სოფლად ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის პრობლემები".

სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. კონოტოპმა მოხსენება მიუძღვნა სოფლის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობის საკითხებს. სწორედ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ორგანული შეხამება, აღნიშნა ორატორმა, უზრუნველყოფს პარტიის პოლიტიკის, მათ შორის აგრარული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას. მოხსენებაში გაშუქებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის მშრომელთა დასაროაზმავად მოსკოვის ოლქის სოფლის პარტორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება.

მოხსენება „პარტიის რაიკომი როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანო" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ ე. ზ. რაზუმოვმა.

წაკითხულ რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინტენსიფიკაციისა და დაჩქარების ამოცანებს, პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კადრებთან მუშაობას. მოხსენება „სოფლის მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიური განათლების საკითხები" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილემ ვ. ა. მედვედევმა.

მოისმინეს სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის ა. ვ. გეორგიევის, სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ს. ი. მანაკინის, სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებანი. სექციის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. ნ. იგნატოვი, როსტოვის ოლქის ზერნოგრადის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლეგიურნეობის პარტკომის მდივანი ლ. ვ. კოლესნიჩენკო.

სექციაზე, რომელიც განიხილავდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პრობლემებს და მისი ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას, მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა პ. პ. ლობანოვმა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა ფართო კვლევას ეწევიან მეცნიერები დღეს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მათ ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში.

მოხსენება სოფლის მეურნეობაში წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის განვითარების ახალი ეტაპის შესახებ წაიკითხა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ვ. ალექსანდროვმა. ყამირის მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცების შესახებ ილაპარაკა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ე. კუნაჩინამ. მიწების მელიორაციის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას მიუძღვნა მოხსენება სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა ე. ე. ალექსეევსკიმ.

26 მარტს სრულიად საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია მუშაობას განაგრძობდა.

(საკდესი).

საქართველოდან — ბამზე

2. სურათზე: „ბამზე" მიმავალ მშენებელთა რაზმის მართი ჯგუფი თბილისის ვაგზლის პერონზე.

ბამელთა პირველი „დესანტი"

ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, ეიღლე საქართველოს წარგზავნილები!

სადღესასწაულოდაა მორთული თბილისის რკინიგზის ვაგზალი. 26 მარტს რესპუბლიკის დედაქალაქის ასობით მშრომელი მოვიდა აქ, რათა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე გაეცილებინა რესპუბლიკის მშენებელთა პირველი დამკვრელური რაზმი. აქ არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. პატარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ლაბახუა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ქეფიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ო. მენაბდე, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების სხვა წარმომადგენლები.

საქართველოს 54 წარგზავნილს შორის არიან მეექსკავატორეები, ბულდოზერის მემანქანეები, ხურეები, მებეტონეები, მებათქაშეები, სხვა პროფესიათა მუშები, ქართველ მშენებელთა ამ პირველი რაზმიდან 15 კაცი ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე რამდენიმე დღით ადრე გაემგზავრა. მათ წაიღეს იქ მექანიზმები, საშენი მასალები, მოწყობილობა.

ვაგზალზე გაიმართა საზეიმო მიტინგი. სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქმშენ-ბამის" უფროსი ა. დვალიშვილი უმაცაკებს, რომ ქართველი მშენებლები მზად არიან შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალება — აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაში.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბახუამ ქართველ მშენებელთა პირველ რაზმს გზა დაულოცა და უსურვა დიდი წარმატება შუამობაში. (საქინფორმი).

□ □

აი რა უთხრეს „კომუნისტის" კორესპონდენტს გაგზავნების წინ რაზმის ხელმძღვანელებმა და წევრებმა:

ა. დვალიშვილი — სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქმშენ-ბამის" უფროსი: „ჩვენი რაზმი 60 კაცისაგან შედგება. აქედან პირველი ჯგუფი, როგორც იცით, 15 კაცის შემადგენლობით სატვირთო მატარებელს 22 მარტს გაჰყავა. მატარებელი დანიშნულების ადგილას აპრილის პირველ ნახევარში უნდა ჩავიდეს. ამ დროისათვის ჩვენ 50 მშენებელი უკვე იქ უნდა ვიყოთ.

„ნია-გრუზინსკაია", — ახე ვუწოდეთ ჩვენ. მომავლამ მშენებლებმა იმ ადგილს, სადაც ბაკალი გაუფალი ტაიგაა და რკინიგზის სადგური უნდა ავაგოთ. ჩვენი პირველი რაზმი ნიაში აშენებს დროებითს ხაერთო საცხოვრებელს, კლუბ-სასადილოს, მმართველობის შენობას. აბანოს და მზად დაახვედრებს ძირითად მშენებლებს — 100 კაცს, რომლებიც „ბამს" წლეულს ზაფხულში ესტუმრებიან.

ვინ არიან პირველი „ბამელები"? საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, ძირითადად უნივერსალი სპეციალისტები. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. წლის ბოლოს ჩვენს სამშენებლო ორგანიზაციას ოთხი სამშენებლო უბანი უნდა ექნეს, რომლებშიც რამდენიმე ასეული კაცი გაერთიანდება.

ა. ულუხანოვი — მთავარი ინჟინერი: „ბამელთა" პირველ რაზმში მოხვედრა ძალიან ბევრს სურდა, მაგრამ ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ იმათ, ვისაც რეკომენდაციები მისცეს შრომითმა კოლექტივებმა, ვინც რამდენიმე პროფესიას ფლობს. ახლა ჩვენ მიგვაქვს ყველაფერი, რაც აუცილებელია პირველი რიგის სამუშაოების შესასრულებლად, და გვყავს მშენებელთა მეტად მაღალკვალიფიციური კოლექტივი. და ჩვენც ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ღირსეული წვლილი შევიტანოთ ამ საერთო საქმეში.

ი. ილურიძე — რაზმის წევრი: მე ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე მეუღლესთან ერთად მივიმგზავრები. მიხარია, რომ ვიშრომენ ისეთი გამოცდილი სპეციალისტების გვერდით, როგორიც არიან თბილისელი, გაგრელი, თელაველი, დუშელი, ბორჯომელი, საგარეჯოელი მშენებლები. ახინა სამ-სამ პროფესიას ფლობენ. მე პირადად ოთხი პროფესია მაქვს, ვარ შეინაკალ-მეინსტრუმენტე, ხერატი, კალატოზი, მლესავი. „ბამზე" მარტო მე როდი მივდივარ ოჯახით. დღეს აქ, არიან ცოლ-ქმარი ივანე და ანა ლუშრები. ქმარი ზეინკალია, ცოლი მეამწე. მართალია, ახლა მარტო მოდის, მაგრამ გაისად ჩვენს გვერდით უკვე თავის მეუღლესთან ერთად იშრომებს ჩვენი რაზმის წევრი რ. მაჭარაშვილიც...

რ. მაჭარაშვილი — რაზმის წევრი: ჩემი მეუღლე ჯერჯერობით სტუდენტია, ბიბლიოგიურ ინსტიტუტს ამთავრებს და ახლა ამიტომ ვერ მოდის. მე შორეულ აღმოსავლეთში არაერთგზის ვყოფილვარ ხანგრძლივი მივლინებით, ასე რომ, იქაურ კლიმატს შეგუებული ვარ. ჩემს მეუღლეს წამოსვლა მე ვურჩიე, რადგან იქ მეტი რომანტიკაა. როცა ჩემი მეუღლე პედაგოგიურ ინსტიტუტს დაამთავრებს, ნიაში უკვე ხანავშო ბაღის მასწავლებლებიც დაგვჭირდება...

ბ. ნაცვალაძე — მზარეული: „ბამზე" კომკავშირული საგზაო-რთი მივდივარ. ვეცდები ჩვენი მშენებლების იმედები გავამართლო, მათ გემრიელი კერძები მოვუმზადო. მაგრამ მე მარტო მზარეული როდი ვარ. თუ საჭირო იქნა, შემიძლია ხეზე საჭმელ ვაკეთო: ვარ პირველი კლასის მძღოლი, მეორე კლასის ტრაქტორისტი, მებულდოზერე, ავრეთვე ელექტრომონტაჟე. წარმოშობით ახმეტიდან, სოფელ ქვემო ალვანიდან ვარ...

ბ. იმნაძე — უბნის უფროსი: ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაზე მუშაობა კარგი სკოლა იქნება თვითეული ჩვენთაგანისათვის. ჩვენ ახალგაზრდები ვართ და ხშირად უფროსთა მხარდაჭერა დიდ ხტიმულს გვაძლევს ცხოვრებაში. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა „ბამზე" წამოსვლის ხურვილი გამოთქვა დედაჩემმაც. იგი ექიმია, რესპუბლიკურ ინფექციურ საავადმყოფოში მუშაობს. კარგი იქნება, თუ მან დაპირება შეასრულებენ და აგვისტოში ჩვენთან ჩამოსასვლელ ნაგზურს მიხცემენ.

ირკუტსკის ოლქი, უსტ-კუტი, სადგური „ნია-გრუზინსკაია", „საქმამშენი", — ამიერიდან ასეთია ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა მისამართი.

შორეულ ტაიგაში ხაფუძველი ეყრება რკინიგზის მომავალ სადგურს, რომელსაც „ნია-გრუზინსკაია" ჰქვია.

ვ. მერტესი თბილისში

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის საკანონმდებლო საბჭოთა კავშირთან საპარლამენტო ურთიერთობის ჯგუფის თავმჯდომარე ვ. მერტესი, რომელიც [illegible] ში იმყოფება, 26 მარტს მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. გაიმართა საუბარი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანთან ზ. ა. კვაჭანტირაძესთან.

საუბრის დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმარს ესაუბრნენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის თანურთიერთობაზე, კერძოდ, ხელშეკრულებაზე, რომელიც ამას წინათ დადგა თბილისსა და დასავლეთ გერმანიის საარის მხარის დედაქალაქს საარბრიუკენს მეგობრული ურთიერთობის შესახებ.

ვ. მერტესმა თქვა, დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობა წარმატებით განვითარდებაო და დადებით ფაქტი უწოდა თბილისსა და საარბრიუკენს მეგობრული ურთიერთობის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ს. ტ. რაგავა. საუბარს დაესწრნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამმართველი მ. ა. ჭიჭინაძე, საქმეთა მმართველის მოადგილე გ. ა. ჭიპაშვილი.

იმავე დღეს ვ. მერტესი ეცნობოდა თბილისს.

საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში თავის შთაბეჭდილებათა გამო ვერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის სსრ კავშირთან საპარლამენტო ურთიერთობის ჯგუფის თავმჯდომარემ ვ. მერტესმა თქვა:

— [illegible] რომ შესაძლებლობა მქონდა, [illegible] საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რეგიონი [illegible] სსრ [illegible] საბჭოთა კავშირში მოწმობს, რომ დიდი ხნის შემდეგ ქვეყანა შესაძლებელი გახდა ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებულიყო ნაყოფიერი კონტაქტები სულ სხვადასხვა დონეზე.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ბონში 1973 წლის მაისში და ფედერალური კანცლერის ჰელმუტ შმიდტის ვიზიტი სსრ კავშირში შარშან ოქტომბერში. ამ ვიზიტების დროს დადებული შეთანხმებანი მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს არა მარტო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საერთო გაუმჯობესებას, არამედ, და მინდა ამას განსაკუთრებით გავუსვამ ხაზი, დაძაბულობის შენელებასაც ევროპის კონტინენტზე.

ვ. მერტესმა თქვა, კარგი იქნება, თუ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი მალე დამთავრდებაო. ჩემმა საუბრებმა მოსკოვში, განსაკუთრებით მან, ცხადყვინა, რომ ორივე მხარეს სურს და კეთილიც ეიდებიან ზორცი შესასხან სსრ კავშირისა და გერმანიის თვლერაციული რესპუბლიკის 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებას. უნდა განვავითაროთ კონტაქტები სხვადასხვა დარგში, მათ შორის მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და სპორტის დარგებში.

მინდა დადებით მოვლენად აღვნიშნო საარბრიუკენისა და თბილისის ურთიერთობა. ეს კარგი მაგალითია, რომელიც მოწმობს ჩვენი ხალხების მისწრაფებას ერთმანეთის უკეთ გაცნობისაკენ.

(საქინფორმი).

„სალუტ-4": ორბიტული ფრენის სამი თვე

ფრენის მართვის ცენტრი, 26 მარტი. (საკდესი). გრძელდება „სალუტ-4" ორბიტული სამეცნიერო სადგურის ფრენა, რომელიც დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაიყვინეს 1974 წლის 26 დეკემბერს. 26 მარტს მოსკოვის დროით 13 საათისათვის სადგურმა 1.425-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

22 მარტს განხორციელდა სადგურის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია, რის შემდეგ „სალუტ-4" განაგრძობს ფრენას ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 356 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 343 კილომეტრი;

— ბრუნვის პერიოდი — 91,3 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მიფრინავს „კოსმოს-721"

1975 წლის 26 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-721".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

საგანგებო წიგნის კვირეული

ალზრდის სამსახურში

ჩვენს დედაქალაქში სანავშვო წიგნის კვირეულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები. გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა რამდენიმე მათგანს.

ა. რიბაკოვი,

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

თბილისში სხვა დროს არა ვყოფილვარ. მრავალი გზით მივალია, მაგრამ აქ პირველად ჩამოვედი, თუმცა საქართველოსთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს. ჩემს ნაწარმოებებს ვგულისხმობ, რომლებიც ქართულად ითარგმნა და მრავალთასაანი ტირაჟით გამოვიდა. ესენია: „ბრინჯაოს ფრანველი" და „სტეფანია"... სულ ახლახან დავამთავრე ვრცელი მოთხრობა „გასროლა", რომლის მიხედვითაც ტელეფილმს იღებენ. ვმუშაობ ავტობიოგრაფიულ რომანზე — „არბატის შვილები", რომელშიც ოცდაათიანი წლების ცხოვრებაა აღწერილი.

სანავშვო წიგნის კვირეულის ასე ფართო მასშტაბით აღნიშნა მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მართლა სეროიოზულ საქმეს — მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. ესარგებლობ შემთხვევით და გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით გუსურვებ ჩვენს ნორჩ მკითხველებს მამათა სახელოვანი ტრადიციების გაგრძელებას.

ვ. რაზუმნევიჩი,

პროზაიკოსი.

მოთხრობებში წიგნი ლეგენდარულ გმირზე ჩაპაევზე შემთხვევით არ შემიქმნია. ბაბაჩემი ჩაპაევის დივიზიაში იბრძოდა. ჩვენი ხუტორი, სადაც ბავშვობა გავატარე, ორ ნაბიჯზე იყო ამ სოფლიდან, სადაც ჩაპაევის დივიზია ჩამოყალიბდა. მერე მთელი ჩემი ყმაწვილკაცობა ბაბაჩემი ათას საოცარ ამბავს მიყვებოდა სამოქალაქო ომზე, თავგანწირვაზე, ჩაპაევზე. წამოვიზარდე და პატარებს ჩემი მოთხრობების კრებულში ვუამბე ნამდვილი ამბავი ჩაპა

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის ნაცადი კურსით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის მაღალნაყოფიერების შესახებ

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წელს გურჯაანის რაიონის მშრომელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, მათ გადამეტებით შეასრულეს სახალხო მეურნეობის გეგმები. აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის მშრომელთა გმირული შრომა. განსაკუთრებით უნდა ითქვას გურჯაანელთა ძირითად დარგზე მევენახეობაზე. უამინდობის მიუხედავად აქაურმა მევენახეებმა გადამეტებით შეასრულეს უურძნის დამზადების გეგმა, სახელმწიფოს მიჰყიდეს 60.000 ტონამდე უურძენს.

გურჯაანის რაიონის მშრომელებმა საკავშიროსოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და ჰრულიად საკავშირო ალკჟ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა დაიმსახურეს.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ამავე რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ და გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ შარშან უურძნის უხვი მოსავლის მიღებისა და რთველის უდანაკარგოდ შემჭიდროებულ ვადებში ჩატარების მიზნით დაწესებული იყო „კომუნისტის“ გარდამავალი დროშა და ფასიანი სიგელი. „კომუნისტის“ ეს ჯილდოც ჩუმლაყელებს ხვდათ.

იმაზე, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებებს, როგორ გაადიდეს უურძნის მოსავლიანობა ჩუმლაყელმა მევენახეებმა, „კომუნისტის“ ჯილდოს გადაცემის დროს გვესაუბრნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვალერიან უტიაშვილი, კოლმეურნეობის პირველი აგრონომი ფოლების გამგე რაფიელ ბერიაშვილი, მეთორმეტე ბრიგადის ხელმძღვანელი ვარლამ დათუაშვილი და მევენახეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი დავით ორთოიძე.

ვეზეგდავთ ამ საუბრებს.

ვაჭრო, შვილივით ნაზარდო!

რეზერვები ულევია

„კომუნისტის“ გარდამავალი დროშის მფლობელები მოგვითხრობენ

□ რეზერვების ამოქმედებით ჩუმლაყელმა ძმევენახეებმა შარშან უურძნის უხვი მოსავლი მიიღეს; ნაცვლად 8.800 ტონისა სახელმწიფოს 6.680 ტონა უურძენი მიეყიდა □ კოლმეურნეობამ ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულა, ნაცვლად 15.195 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდა 15.881 ტონა უურძენი □ შარშან ნაცვლად 65 ცენტნერისა საუშალოდ ჰექტარზე მიიღეს 120 ცენტნერი უურძენი □ ჩუმლაყელთა რეზერვებია: მევენახეობაში ეროვნული სამუშაოს აგროტექნიკის ზუსტად დაცვით ჩატარება; ინტენსიური რწყვა; ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენება, რთველის უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში დამთავრება.

ვ. უტიაშვილი,

ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

უკრაველეს ყოველისა, ნება მომეცით გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ჩუმლაყელი კოლეგერეგების სახელით, დიდი მადლობა მოვახსენო საბჭოთა კავშირის კოსუსისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკჟ ცენტრალურ კომიტეტს ჩვენი შრომის ესოდენ დიდი აღფასებისათვის — სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებისათვის, გარდა ამისა, ძალლობა მინდა გადავუხადო ბატონ „კომუნისტის“ რედაქციას გარდამავალი დროშისა და ფასიანი სიგელისთვის. „კომუნისტის“ გარდამავალი დროშია დაწესებულ ნამდვილად შეგვიწყო ხელი, რომ ჩვენს რაიონთან ერთად სოფლად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვსულიყავით.

ეს დიდი და საპატიო ჯილდოები ჩვენს კოლმეურნეობას შრომაში ალაფრთოვანებს და უფრო მეტი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს.

ალაზანს ველის მშვენება — ვაზი ქართველმა გლეხკაცმა უსხოვარი დროიდან მართლაც შვილივით შეიყვარა. ქართველ მევენახეს „საუკუნეები დასჭირდა, რომ ზედმიწევნით გასცნობოდა ამ ძვირფას და ხელახლაგოგძანებელ მცენარეს, მის აგებულებას და დაედგინა მოვლა-პატრონობის აგროტექნიკა.

ჩვენმა მევენახეებმა პრაქტიკულად ვენახის მოვლა-პატრონობა ჩინებულად იციან. ამიტომ არის, რომ ჩვენი მეზობლები არც ხიდაგს და არც მცენარეს აკლებენ მოვლას. საუკუნეებიდან მომდინარეობს ვენახის დარგვის წესები და ღღევანდელმა მევენახემ კარგად იცის, რომ ვაზის სიუხვე ნამყენის დარგვისთანავე იწყება; ამასთან ისიც იცის, რომ თუ კარგად, ღრმად არ დარგო ვაზი მიწაში, ისე რომ „ოქამ მამლის ყივილი არ გაიგონოს“, არაფერი გამოვა.

შარშანდელი წარმატება ხომ ზღაპრული იყო! ანდა ზღაპრული რატომ უსდა იყოს, როცა ჩვენი ზვრები შარშანდელი ბარიკა ჩუმლაყელი ბაღლინა მევენახეების გარჯისა და საზრიანობის შედეგია. მეცხრე ხუთწლედის პირველ წელიწადს სამუალოდ ჰექტარზე 58 ცენტნერი უურძენი მივიღეთ, მომდევნო წელს — 63 ცენტნერი, შარშანწინ — 82 ცენტნერი, შარშან კი — 120 ცენტნერი. მოსავლიანობის თანდათანობით მატებამ საშუალება მოგვცა ოთხ წელიწადში გადამეტებით შეგვასრულეთ უურძნის წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმა. ნაცვლად 15.921 ტონისა ვაწარმოეთ 15.962 ტონა უურძენი; ნაცვლად 15.195 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდეთ 15.881 ტონა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია შარშანდელი წელი. შარშან ჩვენმა მევენახეებმა არნახული მოსავალი მიიღეს. 574 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი გვაქვს. ჰექტარზე 120 ცენტნერი მივიღეთ. სახელმწიფოს 6.680 ტონა უურძენი მივიყიდეთ. გარდა ამისა, ხუთწლედის დავალებანი ოთხ წელიწადში შევასრულეთ აგრეთვე მეხილეობაში, მებოსტნეობაში, მეძროხეობასა და მეაბრეშუმეობაში.

მოსავლიანობისა და დამზადების გეგმების გადამეტებით შესრულებამ უზრუნველყო აგრეთვე საერთო შემოსავლის მატება. ხუთწლიანი გეგმით სახელმწიფოსათვის 8 მილიონ 800.000 მანეთის პროდუქტები უნდა მიგვეყიდა. ოთხ წელიწადში 9 მილიონ 95.000 მანეთისა მივყიდეთ. მეხუთე წელს ალბათ მომავალი ხუთწლედის წლინახევრის ან ორი წლის დავალებას გავანაღდებთ.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენთან თითქმის ყველა დარგი მომგებიანია. ცენტნერი უურძნის წარმოებაზე გეგმით 28 მანეთი და 3 კაპიკი უნდა დახარჯულიყო. სამუშაოთა გაიაფების შედეგად ცენტნერი უურძნის თვითღირებულება 24 მანეთი და 5 კაპიკი იყო. ასევე გაიაფდა მარცვლეული, ხილ-ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქტები.

როგორ მივაღწიეთ ყოველივე ამას? ამ კითხვაზე პასუხი დეტალურად რომ გავცეთ, გაზეთის ორი გვერდიც არ გვეყოფა, მაგრამ საქმეში ჩახედული კაცი ჩემი მოკლე პასუხიდანაც ბევრ რაიმეს გაიგებს. წარმატების თავი და თავი თვით ადამიანები არიან, მათი კოლექტიური შრომისადმი ერთგული დამოკიდებულებაა, რომელიც უბრალო ლაპარაკით არ მოგვიპოვებია. ჩვენი კოლმეურნე დღეს ის აღარ არის, რაც ოცდაათიან ან ორმოცდაათიან წლებში იყო. დღეს ჩვენი შშრომელი შეგნებული, თავისი საქმის მცოდნე და საერთოდ განსათლებული ადამიანია, რომელიც თანამედროვე სამეურნეო მანქანების დახმარებით სასწაულებს ახდენს მინდვრად, ბაღ-ვენახებსა თუ ფერმაში.

ჩვენს კოლმეურნეობაში, და არა მარტო ჩვენთან, რეზერვები ულევია. რეზერვები არის, მათი გამოვლინება და სიუხვის სამსახურში ჩაყენება კარგი მეურნის პირველი რიგის საქმეა.

წარმატების უტყუარი გარანტიაა შრომის სწორი ორგანიზაცია, მტკიცე დისციპლინა, ადამიანებისადმი ინდივიდუალური მიდგომა და შრომის ანაზღაურების ფორმა.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, მთავარი რეზერვი მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვაა. ამ სიტყვებს ზოგან, ზოგიერთი ხელმძღვანელი ფასს უკარგავს თავიანთ უდარღელი და მკვეხარა დამოკიდებულებით. ყურნალებში, გაზეთებში, წიგნებში ბევრი სასიკეთო გამოცდილება და სასარგებლო აზრია დაბეჭდილი. ზოგი ცალი თვალის გადავლებით გადაფურცლავს და საღღაც თაროზე ან მაგიდის კუთხეში ძიაგდებს. ეს სწორი არ არის. მოწინავეთა გამოცდილებას გულდასმით უნდა სწავლობდნენ სპეციალისტები. ისინი კი თავის მხრივ კოლმეურნეებს უნდა ასწავლიდნენ, ყოველი ღონისძიებით უნდა ცდილობდნენ, რომ საქმე აყვთონ მათი, დამკვერვების მაგალითით.

ადრე ჩვენს ზვრებს სიმეჩხრე დიდ ზიანს აყენებდა. ბევრი ვიფიქრეთ, მერე მოწინავეთა გამოცდილება, მეცნიერების მიღწევები შეეიარაღეთ და გადმოვიღეთ. ჩვენმა მევენახეებმა განა არ იცოდნენ, როგორ უნდა ებრძოლონ სიმეჩხრის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი თითქოს სპეციალისტის მართალ სიტყვას უცდიდნენო, საქმეს აყოვნებდნენ. როცა ჩვენ ერთხმად გადავწყვეტეთ გადმოგვეღო ყოველივე კარგი, ახალი იქნებოდა ეს თუ ძველი, ყველა მევენახე გამოგვყვა და სულ რამდენიმე წელიწადში სიმეჩხრე 6 პროცენტამდე შევამცირეთ. ამან, იცით რა შედეგი მოგვცა? უდიდესი, ამიტომ ახლა ყველანი ენერგიას არ ეშურებენ, რომ სიმეჩხრე მინიმუმამდე შეამცირონ.

გარდა ამისა აგროწესებით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულება ერთ-ერთი დიდი წინაპირობაა. ამ საკითხზე სიტყვა მივცეთ კოლმეურნეობის პირველი აგრონომიოლების გამგეს, გამოცდილ მეურნეს რაფიელ ბერიაშვილს.

რ. ბერიაშვილი,

პირველი აგრონომიოლების გამგე.

ჩვენმა თავმჯდომარემ მართალი თქვა, აგროლონისძიებათა კომპლექსიდან ერთი სამუშაოც რომ უდროოდ და უხარისხოდ შესრულდეს, ზვრებს დიდ ზარალს მივაყენებთ და ამით გამოუსწორებელ შეცდომას ჩავიდენთ — ჩვენმა მევენახეებმა ეს ძალიან კარგად იციან და ყოველთვის ამის ცდაში არიან, რომ ვენახებში ყოველი სამუშაო თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულონ.

მე მოკლედ ვიტყვი, თუ ამა თუ იმ სამუშაოს როდის და როგორ ვასრულებთ.

ვენახებში მიწის დამუშავება რთველის დამთავრებისთანავე იწყება. ჩვენი დამმხარე. ამ საქმეში სამამულო წარმოების მანქანებია. მიწის დამუშავების ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული ტენის შენარჩუნება. ზამთარში, როცა ვაზი ძილშია, ძიწა მცენარეს შტამბზე კარგად უნდა ჰქონდეს შემოყრილი. გაზაფხულზე კი მიწას მსუბუქად ვამუშავებთ. შტამბის ძირებზე მიწა კარგად უნდა გაფხვიერდეს, რომ გამოღვიძებულმა მცენარემ თავისუფლად ისუნთქოს.

სასუქები შეგვაქვს აგროქიმიური კარტოგრამის მიხედვით. ამასთან გითვალისწინებთ ამა თუ იმ ნაკვეთის მიწის ქიმიურ შემადგენლობას. „გიროპოკორმის“ ნაკვეთში ჰექტარზე წელიწადში შეგვაქვს 750 კილოგრამი აზოტი და 200 კილოგრამი კალიუმი. „ხირხატების“ და „თრიმლების“ ნაკვეთებში ჰექტარზე შეგვაქვს 460 კილოგრამი აზოტი და 200 კილოგრამი კალიუმი. ასევეა სხვა ნაკვეთებშიც. სასუქები ჩვენთან ზუსტ აღრიცხვაზეა. არც ერთ კილოგრამს არ გვარგავთ.



ჩუმლაყის კოლმეურნეობაში მეცხრე ხუთწლედში უურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე.

ჩვენთან მეტწილად თბილი ზამთარი იცის და ამიტომ ვაზს თებერვლის მეორე ნახევარში ვსხლავთ. ეს სწორედ ამ დროს უნდა გამოავლინოს მევენახემ თავისი ნიჭი. თვალის ერთი გადავლებით უნდა გაარჩიოს სუსტი და ძლიერი ვაზები, შეამჩნიოს ღონიერი რქები. ამისდამიხედვით ხსლავს ვაზს. ეს ამ რეზერვს ჩვენი მევენახეები კარგად იყენებენ. სპეციალურად ვამზადებთ მსხვილებს და ვაზის გასხვლას მხოლოდ ამ საქმის ნამდვილ ოსტატებს ვანდობთ ხოლმე. ძლიერ ვაზებს თავისუფლად ვუტოვებთ რამდენიმე სანაყოფე რქას, სამამულე რქის კარგად შერჩევაც მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის ზრუნვაა.

ყველაზე შესაბრალისი სანაბავი გასხლული ვენახია. რქებდაჭრილი, ფოთლებშემოცლილი მტირალი ვაზი არც თუ ისე სასიამოვნო სანახავია, მაგრამ ლაკვირვებული მევენახე სწორედ ვაზის მტირალობის დროს ატყობს, რომელი იქნება უხვმოსავლიანი. წალამი გამოგვაქვს და ვაზს მავთულის შპალერზე ვაკავებთ, ძველებურად რომ ვთქვათ, ვაყელავთ. შეაყლვაზეც კარგი, გამოცდილი მევენახეები მუშაობენ. უგვრგლო კაცს ამ დროს შეუძლია საქმე წაბდიიოს, ვაზის რქა შეიძლება ისე შეაყელოს, რომ დაბზიანოს. ამიტომ მათ ამ დროს ვენახს არ გავაკარებთ.

ვაზის გაფურჩვნას რამდენჯერმე ვახდენთ, რომ მცენარე დროზე გავათავისუფლოთ ზედმეტი ტვირთისაგან. ამ ოპერაციას, აგრეთვე წამლობას აგროწესების ზუსტად დაცვით ვაწარმოებთ. წამლობის პერიოდები და ის თუ რამდენჯერ შეიწამლოს მცენარე, დამოკიდებულია ზონებისა და ამინდზე. ვენახებს საერთოდ შვიდჯერ ვწამლავთ. ხშირად ხდება ისე, რომ შეეწამლავთ თუ არა, წვიმა ჩამორეცხავს ხოლმე. ამ შემთხვევაში ვენახი მეორე დღესვე ხელმეორედ უნდა შეიწამლოს.

დაავადებათა წინააღმდეგ სხვადასხვა საშუალებებს ვიყენებთ, რომლებიც ჩვენმა მეცნიერ-მუშაკებმა შეიმუშავეს და პრაქტიკით დაამტკიცეს. ოთხჯერ გაფრქვევთ გოგირდს. ამიტომ ჩვენს ზვრებში დაავადება დიდი ხანია აღარ არის.

ჩვენი განყოფილების ვენახებში სიმეჩხრე 6 პროცენტია. საერთოდ ეს არც თუ ისე დიდი პროცენტია, თითქმის ნორმალურია, მაგრამ არც ამაზე შევჩერდებით. სიმეჩხრეს ვაზის გადაწვენითა და მბრეს გაგრძელებით ვებრძვით. შარშან ადრე გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე 21.000 ძირი ვაზი გადავაწვინეთ, ხოლო 25.000 ძირს მბარი გავუგრძელეთ. ამ გზით თითქმის 10 ჰექტარი მივუმატეთ ზვრებს. წლეულს აქედან კარგ მოსავალს მოველით. გადაწვენილი და მბარგაგრძელებული თითო ძირი ვაზიდან 700 გრამ უურძენს მივიღებთ. ეს განა ურიგო რეზერვია? ადრე 46.000 ძირი ხომ გამცდარი იყო!

მევენახის შრომა რომ მძიმეა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ წელიწადში თითო ვაზთან კაცი 30-ჯერ და ზოგჯერ მეტჯერაც მიღის. ამასთან სამუშაოთა მეტი წილი ხომ ხელით სრულდება!

მოსავლიანობის გადიდებას ხელს უწყობს აგრეთვე რთველის ორგანიზებულად და შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ ჩატარება. ჩვენი კოლმეურნეები პირველ რიგში საზოგადოებრივ ზვრებს ვზრუნავ განსაკუთრებულად, ვინაიდან კარგად იციან, რომ შემოსავლის ძირითადი წყარო კოლმეურნეობის ვენახებია. ამიტომ იყო, რომ როგორც ყოველთვის, მარნისაც რთველში ჯერ კოლმეურნეობის ვენახები მოიკრიფა, ხოლო თავისუფალ დროსა და დასვენების დღეებში — საკუთარი.

ასეთი ღონისძიებების გატარების მეოხებით გაწყოფილების 198 ჰექტარი ვენახებიდან 2.380 ტონა

ᲨᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲚᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲥᲐ

მეხილეობის აგრო-სამრეწველო კომპლექსის პირველი ნაბიჯები

ცნობილია, რომ მეხილეობა ჩვენში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უძველესი დარგია. საქვეყნოდ გაითქვა სახელი ქართული ხილის არომატმა და გემომ. ისიც კარგად ვიცით, რომ საქართველოს ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები მეტად ხელშემწყობ პირობებს ქმნის ამ დარგის შეძლებისდაგვარ განვითარებისადვის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი რაიონებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მეხილეობა შემოსავლის ძირითადი წყაროა. მიუხედავად ამისა, უწყვეტები თუ ორგანიზაციები, რომლებსაც ევალებოდათ მეხილეობის ინტენსიურ რელსებზე გადაყვანა, სათანადოდ ვერ აფასებდნენ დროის მოთხოვნებს და კვლავ მოძველებული ტექნოლოგიით და წესებით აშენებდნენ ხეხილის ბაღებს.

გასული წლის დასაწყისში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილეს მეხილეობის შემდგომი განვითარების საკითხი და მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამრეწველო მეხილეობის ინტენსიფიკაციისა და ხილი სპეციალიზაციის შესახებ“. დადგენილება ითვალისწინებს მეხილეობის სწრაფ განვითარებას ხეხილის ინტენსიურად გაშენებით.

ამ დადგენილების რეალიზაციის პირველ ნაბიჯად დაისახა მებაღეობის მსხვილი აგრო-სამრეწველო კომპლექსების შექმნა გორის რაიონის შინდისისა და ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე, რომელიც 1.600 ჰექტარს დაიკავრს. აქედან მარტო შინდისის საბჭოთა მეურნეობაში ბაღები 1.000 ჰექტარზე უნდა გაშენდეს. აგროსამრეწველო კომპლექსის მშენებლობა, ზემდგომი ორგანოების მითითებით, დაჩქარების მიზნით, შარშანვე დაიწყეს. პირველი რიგის სამუშაოები ითვალისწინებდა 400 ჰექტარი ინტენსიური ბაღის გაშენებას, რამაც მეურნეობის ხელმძღვანელობა, მთელი კოლექტივი მეტად დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე დააყენა.

უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ხუთასი ჰექტარი ფართობის დროულად და ხარისხიანად დაპლანტაჟება, ხოლო მეურნეობას ამ დროისათვის არც საამისოდ გამოსადეგი თავისუფალი ფართობი გააჩნდა და არც სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა.

დრო არ ითმენდა, არც საშვილიშვილო საქმის გადადება შეიძლებოდა, ამიტომ საქართველოს კპ გორის რაიკომმა მობილიზაცია გაუკეთა „ს-100“ მარკის ტრაქტორებს, და საპლანტაჟე ხვასს შეუდგნენ მოსავლის აღების პარალელურად. ტრაქტორისტები ნელა მუშაობდნენ, თვითეული დღე-ღამეში საშუალოდ 1,5-2 ჰექტარს ხნავდა. ამრიგად, საქმე ნელა მიიწევდა წინ. მაშინ მეურნეობის დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმა მიმართეს სოციალისტური შეჯიბრების ნაცად საშუალებას: პლანტაჟზე მომუშავე მექანიზატორთა შორის ფართოდ გაიშალა შეჯიბრება, გამარჯვებისათვის დაიწესეს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია — დღეში 10 მანეთი. სოციშეჯიბრის შედეგების შემაჯამებელი კომისია თვალყურს ადევნებდა მექანიზატორთა მუშაობას და ხეხოს ხარისხს. შედეგმაც მაშინვე იჩინა თავი. ამის შემდეგ თითქმის ყოველი აგრეგატი დღეში 4-5 ჰექტარ მიწას აპლანტაჟებდა. ამ სამუშაოში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „ს-100“ მარკის ტრაქტორებზე მომუშავე მექანიზატორები ანდრო ლაგუტაშვილი, შალვა ნადირაძე, პაპლეტ სახუაძე, გურამ ბასიაურაძე, „სოფლტექნიკის“ ტყვიავის განყოფილების მექანიზატორები — ვასტანგ და ბიბიკო თუთარაულები.

აგვისტოს ბოლოსათვის 500 ჰექტრის პლატაჟად ხვნა წარმატებით დამთავრდა. ახლა საჭირო იყო თვეული ამ ფართობის დროულად მომზადება, მოსაწორება-მოშანდაკება, მეურნეობას კი ახლოდან ეროვნული ეკონომიკა ჰქონდა, ისიც სანაბავროდ უკარგისი. კვლავ იჩინა თავი სახელგანთქმული შინდისელი მექანიზატორების აზრიანობამ და უნარმა. მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორის ავთანდილ ხარებაშვილის ხელმძღვანელობით ადგილზე საკუთარ სახელოსნოში დაამზადა რელსების ჩარჩო, რომელიც ბოდების განი 6 მეტრი იყო. სამი ამგვარი ჩარჩოს გამოყენებით დაპლანტაჟებული ფართობი დროულად და აგროწესების დაცვით მოასწორეს.

არანაკლებ მუშაობას მოითხოვდა ნაკვეთის დაგეგმვა და ორმოების ამოთხრა. სამუშაო რომ დაიკარგებულიყო, ორმოებს თხრიდნენ ხელითაც და აგრეგატებითაც. ორმოს მთხრელთა შორის კარგად მოწყობილება სოციეჯიბრებას წინ საწყია საქმე. ასალგაზრდა მექანიზატორები ოვეან ბაზმაშვილი, ელგუჯა პაპუაშვილი, კამელათ მთიულიშვილი, ჯონარ საბანაძე, ალეკსი ეგაძე ყოველდღიურ დაგალებებს ორმაგად და სამმაგად ასრულებდნენ.

შინდისის მეხილეობის აგრო-სამრეწველო კომპლექსი ჩვენში პირველია. საჭირო სარგავი მარაგის უკმარისობის გამო მეურნეობები ნამყენს მოიძებ რესპუბლიკებიდან იღებენ. კვების არეთა ზომები და ორმოებში დარგვის წესი შესატანი სასუქების დოზები დაადგინა საქართველოს მებაღეობამ, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. დარგვამდე ყოველ ორმოში შეაქოდათ 10-15 კილოგრამმა გადამწყვარი ნაკელი, მინერალური სასუქებიდან ფოსფორი და კალიუმი. დოზების სიზუსტის დასაცავად მოაწყეს სველი ლაბორატორია. თვითეული ორმოსათვის სასუქების ნაზავი კეთდებოდა ახალგაზრდა სპეციალისტების, აგროქიმიური ლაბორატორიის გამგის ტასია ლოთორიასა და ლაბორანტ გურამ პაპიაშვილის მკაცრი ზედამხედველობით. დარგვის წინ, როგორც წესი, თვითეული ნამყენის ფესვებს ასალი ნაკელის წუნწუხმი ამოავლებდნენ ხოლმე.

შინდისის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ერთიანმა მონდომებულმა, დიდმა პასუხისმგებლობამ, საერთო ენთუზიაზმმა მრავალი ხელშემშლელი ძიზეში დაძლია. შარშან წლის ბოლოსათვის 300 ჰექტარზე გაშენდა ბაღი, დაიარგა 111 ათასი ძირი ვაშლი და ბსლია.

ბაღის გაშენებაში თავი არ დაუზოგავს არც ერთ აგრონომსა თუ ბრიგადას. განსაკუთრებით დაწინაურდა მესამე აგრონომი (უფროსი შალვა აბულაძე), კარგად იმუშავეს პირველმა და მეორე აგრონომებმაც (უფროსები ვ. სულაძე და თ. ომაძე). ყოველდღიური მუყაითი შრომით ქებას იმსახურობდნენ მუშები სანა მეგრელიშვილი, შოთა მაღუანშვილი, გივი საბამეილი, ნორა ხუციშვილი, ნინო მინდიაშვილი, ელო ეშმაკურაშვილი, თამარ ეგაძე, ირაკლი ციციშვილი, დოდო ნადირაძე და სხვები. ინჟინერ-მელიორატორებმა მირიან ჯაფიაშვილმა და მექანიზატორმა შურა მაზმიშვილმა დროულად უზრუნველყვეს სარწყავი არხების გაყვანა. დაგეგმვას და ჯიშების გადაადგილებას ხელმძღვანეობდა მეხილე აგრონომი ჯემალ საბაშვილი.

სპეციალისტების აზრით 300 ჰექტარზე გაშენებული ინტენსიური ბაღი 1980 წლისათვის მეურნეობას მისცემს 4-5 ათას ტონა ხილს, ხოლო სრულ მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ ორჯერ მეტს. ამას გარდა, მეურნეობაში 1.600 ჰექტარი ჩვეულებრივი წესით გაშენებული ბაღია. ხეხილის მთელი ფართობის სრულ მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ მარტო შინდისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა რესპუბლიკას მისცემს დიდძალ ხილს.

აღნიშნული რაოდენობიდან ხილის ნაწილის შენახვისა და გადამუშავებისათვის, რასაკვირველია, საჭიროა სათანადო ბაზა. ამ მიზნით მეურნეობაში მალე მწყობრში ჩადგება 500-ტონიანი ხილსაცავი მაცივარი, ხოლო წლეულს დაიწყება ხილის ნატურალური წვენების საამქროს მშენებლობა, რაც მეურნეობას დიდად დაეხმარება არასტანდარტული ხილის გადამუშავებაში.

ეს კარგი და აუცილებელი საქმეა, მაგრამ მეხილეობის დარგში რესპუბლიკის ამ პირველმა აგროსამრეწველო კომპლექსმა თავისი დანიშნულება რომ შეასრულოს, საჭირო იქნება რამდენიმე საკითხის აქედანვე გათვალისწინება და დროულად მოგვარება.

ზემოაღნიშნული ოდენობის ხილის აღება და დამუშავება დიდძალ მუშახელს მოითხოვს. ამას გარდა თვითეულ შრომისუნარიან მუშას ამ მეურნეობაში უდგება 5 ჰექტარი ხეხილის ბაღის, 0,1 ჰექტარი შაქრის ჭარხლის, 0,15 ჰექტარი ბოსტნის, 0,5 ჰექტარი სიმინდის სათესის მოვლა-დამუშავება, მთელ ამ სამუშაოებს ემატება მეცხოველეობის ფერმა და სხვა გაუთვალისწინებელი წვრილმანი სამუშაოები. მეურნეობაში მთლიანად არიცხება 420 მუშა. ცხადია, თვითეულ მუშაზე ეს დიდი დატვირთვაა.

ცნობილია, რომ სპეციალიზაცია თავისთავად გულისხმობს უპირველესად მთავარი დარგის განვითარებას. შინდისს საბჭოთა მეურნეობას უხდება დიდძალი თავთავანი კულტურების, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ადვილი წარმოსადგენია, მუშახელის უეცარი ნაკლებობა პირობებში როგორ გაძნელდება მუშაობა მეხილეობის აგროსამრეწველო კომპლექსისა, რომელიც სხვებისათვის სანიმუშო და გზის ძაჩვენებელი უნდა იყოს. ჩვენი აზრით, მიდასამეურნეო სპეციალიზაციის საქმე დროულად უნდა მოგვარდეს. გარდა ამისა, მეურნეობის სამანქანო პარკიც უნდა გაძლიერდეს, ახალი მანქანებით შეივსოს.

დაპლანტაჟებულ ფართობზე გაშენებულ ხეხილის ბაღის სარწყავად განსაკუთრებით დიდძალი წყალია საჭირო. მეურნეობის ამ მხარეს არსებული სარწყავი არხით მხოლოდ 2 კვირაში ერთხელ თუ შეიძლება მოირწყას 300 ჰექტარი ფართობი. რწყვა კი სჭირდება 1500 ჰექტარ ფართობს. თუ ეს მდგომარეობა სწრაფად არ მოგვარდა, ახლად გაშენებული აგროსამრეწველო კომპლექსის ახალი ნარგავების გასაჭირება საშიშროების წინაშე აღმოჩნდება.

მ. ოქროპირიძე.

ᲐᲡᲔ ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲢᲔᲠᲐᲡᲔᲑᲘ

მექანიზატორი — ტყის მეგობარი

ᲝᲕᲠᲘᲡᲐᲠᲘᲜᲗᲐᲜ ყველა იცნობს ჩვენი სატყეო მეურნეობის მოწიავე ტრაქტორისტს თენგო ბიჩინაშვილს, რომელიც მეოთხედი საუკუნეა, რაც საყვარელ საქმეს ემსახურება. ერკოს მინდვრებში, სოფელ სვიმონიანთხევის ხოდაბუნებაში დავაკაცებულ მთიელს თავიდანვე შეუყვარდა ტრაქტორი და ეს სიყვარული იმით გაძლიერდა, რომ თავისი ხუთი თითითით შეეხებოდა „რკინის ხარის“ ყველა კვანძი თუ დეტალი და, როგორც მკურნალი სუნთქვაზე გრძნობს პაციენტის გაჭირვებას, ასევე თვლიდა ერავის ხმაურზე იგებს, რა უჭირს და ულხინს ტრაქტორს.

პირველი ათი წელიწადი ბიჩინაშვილმა მშობლიურ კოლმეურნეობაში იმუშავა, შემდეგ „სიოსმშენის“ მშენებლობაზე გადაიყვანეს. ყველგან სასელოვნად შრომობდა, თავი არასოდეს შეურცხვენია. ექვსი წლის წინათ ბიჩინაშვილი ჩვენს სატყეო მეურნეობაში მოვიდა და აქაც ხასელი მოიხვეჭა, როგორც თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნემ და ენერგიულმა მექანიზატორმა, დავალების ხალისით შემსრულებელმა. იგი მეურნეობის ყველა უბანზე მუშაობს — ხე-ტყის გამოზიდვაზე, გზების გაჭიანზე, ნიადაგის მომზადებაზე, განსაკუთრებული ხალისით კი — ახალი ტყეების გაშენებაზე, გადაჭარბებით ანადგენს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, წელიწადის ყოველ დროს მთელი სიმძლავრით იყენებს ტრაქტორს, ამასთან ზოგავს საწვავს.

საუკეთესო საორგანიზაციო მაჩვენებლებთან ერთად თ. ბიჩინაშვილის დამსახურება ისიც არის, რომ მან მძლე და ქვიან ნიადაგებზე საშუალე და დიდი დაქანების ფერდობებზე ტყის კულტურების გასაშენებლად ნიადაგის მოზადებაზე 1970 წელს პირველმა მიუმართა და წარმატებით გამოიყენა ამოძძირკველი „დ-513-ა“ ტრაქტორი. ამ აბრეგატით ნიადაგის მოზადებისა ტექნიკურობა, რომლის ავტორი თ. ბიჩინაშვილია, შემდგომ ითვალისწინებს: ტრაქტორი (ამოძძირკველი) ნიადაგის მოზადებას სწყვეტს დასაბუთებულ ფართობის ქვეშ კიდეიდან დაქანების მიმართულების ხან�-ადვილად. სანამ დასმაკრეკა, ძირს შემვეს ოთხთაეთად ამოძძირკველ ორბანის (სიმაღლით 140 სანტიმეტრია) და ეროვნულ მოძრაობას ყინ. ამოძძირკველი ორბანი 30-40 სანტიმეტრის სიღრმეზე ეჩეხება ნიადაგში და ეწინააღმდეგება ბაცვლის 80-100 სანტიმეტრს. ეს ჯრეცესი ეხი ასდენს ნიადაგის მოპრაგაზხვიერებას. შემდეგ ტრაქტორი ამოძძიკრკველ ორბანის მაღლა სწევს, თან ამყოლებას ნიადაგის ნაწილს, რომელიც დაეყრება ბაკნის ქვეშა კიდეზე. ასე დაშუშავდება ერთი ბაკანი, ზომაა 150x90 სანტიმეტრი, რომელიც ჩაჭრილი ბაკნის ფირფას ეღება, შემდეგ ტრაქტორი ისევ ეროვნულ მოძრაობას უკან სვლით. 165 სანტიმეტრ განძილის ბაკ

ᲓᲦᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲬᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

● ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲗᲔᲗᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ● Მ. ᲠᲘᲐᲓᲘ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

● ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲝᲘᲬᲕᲜᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 25 მარტი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა თეთრ სახლში გამართა თათბირი კონგრესის ხელმძღვანელებთან. თათბირზე სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა ილაპარაკა ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში თავისი მოგზაურობის შედეგების შესახებ.

პრეზიდენტმა ამ სხდომაზე სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ სახელმწიფო მდივნის მისია შეწყდა და ნაყოფი არ გამოუღია. ჯ. ფორდმა განაცხადა, რომ ამ ბოლო დღეებში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით შეერთებული შტატები აპირებს გადასინჯოს თავისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში და ეს შეეხება ვითარების ყველა ასპექტს.

ამერიკის შეერთებული შტატები, თქვა თათბირზე ჯ. კისინჯერმა, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის სხვა პრობლემებს შორის განიხილავს ქენევის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლების შესაძლებლობას.

ᲙᲐᲘᲠᲝ, 25 მარტი. (საკდესი). არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივანი მაჰმუდ რიადი, რომელიც აქ გამოვიდა არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს სესიაზე, შეეხო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას ამერიკის შეერთებული შტატების მისიის დამთავრების შემდეგ.

არაბული ქვეყნები, განაცხადა მ. რიადმა, არ იძურებდნენ ძალ-ღონეს ამ რაიონში სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის. მათ პოზიციას საფუძვლად ედო მშვიდობის კონცეფციები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები და საერთაშორისო სამართლის ნორმები. მაგრამ მათ მშვიდობიან მეცადინეობას არ მოჰყოლია სასურველი შედეგები ისრაელის ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამო, რომელსაც ყოველნაირად უჭერს მხარს შეერთებული შტატები.

მ. რიადმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთლიანად უნდა შეუწყვიტოს იარაღის მიწოდება ისრაელს, რადგან სწორედ ამერიკის იარაღი აქვეხებს ტელ-ავივს განაგრძოს არაბული ტერიტორიების ოკუპაცია, განსხორციელოს ექსპანსიონისტური პოლიტიკა.

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკდესი). როგორც ტელ-ავივიდან იუწყებიან, ისრაელის პარლამენტმა მიიღო უფლებაცია, რომელიც იწონებს მთავრობის პოლიტიკას არაბული ქვეყნების მიმართ. როგორც ცხობილია, ამ პოლიტიკის შედეგად კვლავ სპაშია ვითარებაა ახლო აღმოსავლეთში და დაბრკოლებანი ექნება მდგომარეობის წმვიდობიან მოწესრიგებას.

ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲤᲔ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 26 მარტი. (საკდესი). ერ-რიადში მაჰმადიანური ღვთისმოსაგალობის დროს სასახლეში გამართული ცერემონიის დროს 25 მარტს სასიკვდილოდ დაჭრეს საუდის არაბეთის მეფე ფეისალი. მეფეს თავს დაესხა მისი ძმისწული პრინცი ფეისალ იბნ მუსაიდი.

საუდის სახელმწიფოს ახალ მეფედ გამოცხადებულია მეფის ძმა პრინცი ჰალედ იბნ აბდელ აზიზ ას-საუდი, რომელსაც წინათ პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ...

ᲙᲐᲘᲠᲝ. არაბული სახელმწიფოების იმ დელეგაციების მეთაურებმა, რომლებიც მონაწილეობენ არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს მუშაობაში, გადაწყვეტეს გადადონ საბჭოს მორიგი სხდომა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს საუდის არაბეთის მეფის ფეისალის მოკვლასთან დაკავშირებით.

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. კუბის ყველაზე დიდი პროვინციის — ორიენტეს დიდმნიშვნელოვანი ინდუსტრიულ - აგრარული ცენტრი ხდება ოლგინის რაიონი.

უახლოეს წლებში რაიონში შეიქმნება ვრცელი სამრეწველო ზონა. იქ აიგება 30-მდე ობიექტი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ლერწმის ასაჭრელი „კტპ-1“ კომბაინების ასაწყობი კომბინატი, რომელიც წელიწადში 600 მანქანას აწყობს. იგი საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით შენდება.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲐ ᲔᲒᲕᲘᲠᲘᲢᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ?

ᲙᲐᲘᲠᲝ. ᲔᲒᲕᲘᲠᲘᲢᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ 37 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲙᲐᲪᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ. უკანასკნელი 15 თვის განმავლობაში ეგვიპტის მოსახლეობა 1 მილიონით გაიზარდა.

ᲢᲝᲙᲘᲝ. ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲐᲦᲒᲔᲜᲡ 110.050.000 ᲙᲐᲪᲡ. შარშან იაპონიის მოსახლეობა 1,23 პროცენტით გაიზარდა.

3. მპტარებლის გასვლას წუთებიღა უკლია. თბილისის ვოგზლის პერონი. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ეკატერინე და იური ილურიძეებს მშენებლობაზე გამგზავრების წინ. ვლ. ბინზუშრის ფოტო.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ

სლოვაკიის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ამას წინათ გამართული ქართული მუსიკის კონცერტები. ერთი თვის განმავლობაში მსმენელები ხვდებოდნენ ჩვენი რუსპუბლიკის კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს.

დიდი წარმატება ხვდა გორის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა ვოკალური ანსამბლს. შთამბეჭდავი იყო მათი გამოსვლა ბრატისლავის ცნობილ ტაძარში: ამ ანსამბლის მწყობრი ყღერადობა და ორიგინალური რეპერტუარი განსაკუთრებით მოეწონათ მსმენელებს. ახალგაზრდა შემსრულებლებმა სლოვაკიის ფილარმონიის დირეტორისაგან მიიღეს ოფიციალური მიწვეევა, რათა 1975 წლის ოქტომბერში მონაწილეობა მიიღონ „ბრატისლავის მუსიკალურ ზეიმში“.

სლოვაკიაში ქართული მუსიკის კონცერტებში მონაწილეობდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვიოლონჩელისტი ი. ჭეიშვილი. მან კონცერტმეისტერ ნ. თუმანოვასთან ერთად გამართა რვა კონცერტი, კლასიკასთან ერთად წარმატებით შეასრულა თანამედროვე ქართველ ავტორთა ნაწარმოებები. „მისი დაკვრა გამოირჩევა საშემსრულებლო ტექნიკით, მომაჯადოებელი ყღერადობით“, — წერდა სლოვაკიის ერთ-ერთი გაზეთი.

ბრატისლავაში გაიმართა პრემიერა საქართველოს სახალხო არტისტის ს. ცინცაძის მერვე კვარტეტისა, რომელიც კომპოზიტორმა მიუძღვნა ამ ქალაქს. იგი შეასრულა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა საქართველოს კვარტეტმა, რომლის წევრები არიან, კ. ვარდელი, თ. ბათიაშვილი, შ. ჟვანია და ო. ჩუბინიშვილი.

ქართველ მუსიკოსთა გამოსვლა ამ ფესტივალის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. სლოვაკმა მსმენელებმა განსაკუთრებული ინტერესით მიიღეს ს. ცინცაძის ახალი თხზულება, რომელიც, სპეციალისტთა ერთსულოვნით აღიარებით, „საკომპოზიციო ტექნიკით, ყღერადობის სილამაზითა და მრავალფეროვნებით უახლესი მიღწევაა“. ბრატისლავაში ქართული ხელოვნების დეკადის აპოთეოზი გახდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ოპერის „სამი სიცოცხლის“ პრემიერა. მსმენელებმა ნაღალი შეფასება მისცეს კომპოზიტორის თვითმყოფ მუსიკას, მისი ნაწარმოების სიმწყობრესა და დასრულებულობას. როგორც ბრატისლავის „პრავდამ“ აღნიშნა, ოპერის დადგმა სლოვაკიის მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რეჟისორ მიროსლავ ფიშერის შემოქმედებითი წარმატება იყო.

ქართული მუსიკის დღეები დაემთხვა ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა დრამატურგიის ფესტივალის დღეებს. ამ დღეებში თეატრების სცენებზე დიდი წარმატებით უჩვენეს ო. იოსელიანის პიესები „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ და „სანამ ურვი გადაბრუნდება“. ქართველი მწერლის ნაწარმოებებმა მაყურებელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. (საქინფორმი).

11.000 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲤᲔᲮᲘᲗ

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲝᲙᲐᲠᲓᲘᲡ ᲘᲜᲕᲐᲠᲯᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

1974 წლის იანვარში მიოკარდის ინფარქტმა საავადმყოფოს საწოლს მიაკრა ქალაქ რიგის მცხოვრები გიორგი ბუშუევი. ხოლო ერთი წლის შემდეგ ამ ორმოცდაცხრამეტი წლის კაცმა რიგიდან ვლადივოსტოკამდე ფეხით გაიარა თითქმის 11.000 კილომეტრი.

ბუშუევი პენსიონერია. ჰყავს იმ ქალაქში, სადაც იგი ცხოვრობს, ცოლ-შვილი, და მაინც ინფარქტი დაემართა... გამოცდილი ექიმები ბუშუევს თანამედროვე პრევარატებით მკურნალობდნენ, ხოლო როცა საავადმყოფოდან გამოწერეს, ურჩიეს რსც შეეძლება მეტი ემოძრავნა.

ბუშუევი დადიოდა ქალაქის ქუჩებში, პარკებში, მაგრამ ეს მარშრუტები მალე მოსწყინდა. ერთხელ ხელში აიღო ეკონომიური რუკა და თვალი გააყოლა თავის პაპის გზას, რომელმაც რევოლუციამდე ბორკილდადებულმა ეტაპით გაიარა კალუგიდან ირკუტსკამდე, გაახსენდა პაპის ნაამბობი იმაზე, რაც მას ენახა და განეცადა ამ გზაზე. ასე განისაზღვრა ბუშუევის მიერ ჩაფიქრებული ქვეითად გადასვლის მარშრუტი.

1974 წლის გაზაფხულზე მედიკოსებმა რიგაში ტურისტს გადასცეს ამონაწერები ავადმყოფობის ისტორიიდან, ცნობები, მიმართვები მისი მოძრაობის გზაზე მდებარე დიდი ქალაქების კარდიოლოგებისადმი. იგი დღეში გადიოდა საშუალოდ 50 კილომეტრს. იკვებებოდა ჩვეულებრივი საჭმელით. როგორც წესი, პროდუქტებს ყიდულობდა სოფლებში, თან მიჰქონდა მხოლოდ ხელშეუხებელი მარაგი, ყოველი შემთხვევისათვის. კერძებს თვითონ იმზადებდა კოცონზე. მაგრამ როცა დასახლებულ პუნქტებში ჩერდებოდა, სადილზე შედიოდა სასადილოში, კაფეში. თვითონ კი რიუკზაკით მიჰქონდა მსუბუქი კარავი, ერთი წყება საცვლები, ასანთი, ქვაბი, დანა, კოვზი...

ქქიმები, რომლებსაც დროდადრო მიმართავდა, ყოველთვის უმერრებდნენ, ჯანსაღი ხართ, შეგიძლიათ გზა განაგრძოთო. ასე მივიდა ვლადივოსტოკამდე: მოგზაურობა დამთავრდა რეგთვის შემდეგ.

— თავს ჩინებულად ვგრძნობ, — მოგვითხრობდა არაჩვეულებრივი ტურისტი. — მე არ ვაპირებდი რაღაც რეკორდი დამეყარებინა ან სენსაცია მომეხდინა, გზეთების რედაქციებს გეკრძალ ეუვლიდი. ისე, ჩემთვის მიედიოდი, თვალყურს ვადევნებდი, როგორ ცხოვრობენ ადამიანები იმ ადგილებში, რომლებზეც ოდესღაც პაპაჩემმა გაიარა.

გაზეთებში წამიკითხავს, რა სწრაფად იზრდება და შენდება ნოვოსიბირსკი. მაგრამ რომ დავინახე მისი განიერი ქუჩები, სკვერებისა და პარკების სიმწვანით გარემოსილი თანამედროვე სახლები, რომ დავინახე ნოვოსიბირსკის ჰესი და წყალსაცავი, ვინახულე აკადემიური ქალაქი, თვალნათლივ დავრწმუნდი იმაში, რა უდიდესი ყურადღება ექცევა ციმბირის განვითარებას.

ჩემს გზაზე ვნახე ქალაქები, რომლებიც წინათ რუკაზე არც ყოფილა. ყველგან შენდება ბევრი საცხოვრებელი სახლი, სოფლები, საავადმყოფოები. ბაიკალის შემდეგ გადავწყვიტე გზა განმეგრძო, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა კიდით კიდემდე გამევლო. და არ ვწანობ, რომ ასეთი მოგზაურობა გავეგეო.

ᲔᲕ. ᲑᲣᲒᲐᲔᲜᲙᲝ,
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

ПРАВДА

„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა და გაზეთ „პრავდის“ საკავშირო მძლეოსნური კროსი ტარდება დევიზით — მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის და ამშვენებს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავის ზეიმს.

თითქმის 13-მა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა „პრავდის“ მძლეოსნურ კროსს. ადრე მისი ფინალი მოსკოვში იმართებოდა, 1972 წლიდან კი — მომმე რესპუბლიკების დედაქალაქებში. ფინალის პირველი მასპინძელი იყო კიშინიოვი, 1973 წელს — ვილნიუსი, შარშან — ფრუნზე, წელს კი ჯერი თბილისზე მიდგა.

თუ რამდენად მასობრივი და პოპულარულია „პრავდის“ კროსი, ამაზე ნათლად მეტყველებს ციფრები, რომლებიც მონაწილეთა რაოდენობაზე მიგვითითებენ — 4-5 მილიონი.

„პრავდის“ წლევანდელი კროსი რიცხვით მეთოთხმეტეა. მის ფინალებს ვიხილავთ 20 აპრილს თბილისის იპოდრომზე. არის ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც შეჯიბრებას მეტ სიდიადეს მატებს. გათამაშდება საბჭოთა კავშირის პირველობის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა „პრავდის“ კროსის მთავარ მსაჯს ლ. ᲑᲘᲠᲝᲠᲐᲫᲔᲡ. აი რა გვიამბო მან:

— სპორტული ცხოვრების მეტად დიდ მოგლენასთან გვაქვს საქმე. ის ფაქტი, რომ ამბერიდან „პრავდის“ კროსი საკავშირო ჩემპიონატადაც არის აღიარებული, რა თქმა უნდა, მას კიდევ მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. ფინალის ყველა შეჯიბრება იპოდრომის სარბენ ბილიკებსა და მის ტერიტორიაზე გაიმართება.

ფინალში სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებს ვიხილავთ და დისტანციებიც ამ ასაკით განისაზღვრება. სარბენი ბილიკები მონიშნული იქნება სხვადასხვა ფერის ალმებით, მსაჯებსაც ამავე ფერის ქუდები ექნებათ, სტარტი ასეთივე ფერის შუშხუნებით მიეცემა. სულ შედგება 38 გარბენი, თვითეულში 30-დან 60-მდე სპორტსმენი გამოვა. მონაწილეთა ყველაზე მეტი რაოდენობა მოსალოდნელია ვეტერანთა კროსში. აქ როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა თითო გარბენი შედგება.

ყოველ დისტანციაზე გამარჯვებულთათვის დაწესებულია „პრავდის“ ექვსი პრიზი. პირველ სამეულს გადაეცემა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. კროსის ფინალის გახსნის თუ სხვა ცერემონიალებში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის გმირები, სამამულო ომის ვეტერანები, დაწესებულია გმირთა პრიზები.

ასპარეზობას მოემსახურება 200-მდე მსაჯი. აქედან უმრავლესობა ჩვენი რუსპუბლიკის არბიტრებია. ბევრ ხაწარმოს, ორგანიზაციას, სასპორტო საზოგადოებას გამოყოფილი აქვთ სპეციალური ჯილდოები, სპორტული დელეგაციებზე მიმაგრებული ბრიგადები.

ამჟამად მთავარია ძირითადი არენის — იპოდრომის ყოველმხრივ კეთილმოწყობა, შეჯიბრების ჩინებული ორგანიზაციისათვის ზრუნვა. ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. არიან ამ საქმის ენთუზიასტებიც. ეს პირველ რიგში ითქმის პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატზე, რესპუბლიკის ცნობილ ვეტერან მძლეოსანზე ვ. ვაშაკიძეზე.

„პრავდის“ შარშანდელ კროსში საქართველოს გუნდმა ფრუნზეზე ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი დაიკავა. ამიტომ, წარუმატებლობას რომ თავი დაანებონ, ჩვენს სპორტსმენებს, რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მეტი მონდომება მართებთ. საქართველოს კროსის დასკვნითი ეტაპი თბილისში 6 აპრილს შედგება. ეს იქნება გენერალური რეპეტიცია „პრავდის“ კროსის ფინალის წინ.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ

ᲢᲐᲛᲐᲨᲘᲜᲘᲡ რინგი ფინალების მოლოდინშია. ჯერ კიდევ წინ არის გადამწყვეტი შეხვედრები, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოკრივეებმა გადალახეს წარუმატებლობათა ზღვედ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, თუ როგორ წარიმართა ქვემსუბუქ და მძიმე წონებში საქართველოს გუნდის წარმომადგენელთა ს. ცირონიანისა და ვ. ულიანიჩის გამოსვლები. გუშინ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს ბ. ᲨᲕᲘᲜᲘᲡᲘᲫᲔᲡ. აი რა გვაცნობა მან:

— ს. ცირონიანი და ვ. ულიანიჩი მეოთხეფინალში გაიგიდნენ, ჩვენს გუნდს მათ მეტად საჭირო ქულები მოუტანეს. ს. ცირონიანმა ქულებით მოუგო ლატვიის წარმომადგენელს ი. ტარგოვცევს, ხოლო ვ. ულიანიჩმა — ბელორუსიის მოკრივეს ვ. ტიხომოროვს. გაიზარდა ქულათა მარაგი. ახლა საქართველოს ნაკრებს 68 ქულა აქვს და მეშვიდე-მერვე ადგილს იყოფს. საბოლოოდ ამ ადგილების შენარჩუნება თუ შეძლებთ, ეს თვალსაჩინო წარმატება იქნება.

26 მარტს ჩვენი სამივე მოკრივე — ს. ცირონიანი, ი. გოროდილოვი და ვ. ულიანიჩი ისევ ებრძოლნენ. 27 მარტს ისინი ჩაეშვებიან მეოთხედფინალურ ასპარეზობაში.

გუნდურ შეჯიბრებაში კვლავ წინ არის ყაზახეთის მოკრივეთა კოლექტივი. მომდევნო ორი ადგილი უჭირავთ უზბეკეთისა და რსფსრ-ის გუნდებს.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ზამთრის საცურავ აუზი სტარტი აიღო უმაღლესი ლიგის წყალოსურთელთა გუნდეების საკავშირო ჩემპიონატმა.

ჩვენს დედაქალაქში 6 გუნდი გამოდის — მოსკოვის, ალმა-ათისა და თბილისის „დინამო“, ლენინგრადის „ბალტიკა“, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი და ტამკენტის „მეხნატი“. დასარჩენი ექვსი კოლექტივი ასპარეზობს ბაქოში.

პირველ დღეს გაიმართა სამი მატჩი და სამივე ფრედ დამთავრდა: მოსკოვის „დინამო“-„მეხნატი“ — 6:6, „ბალტიკა“-ალმა-ათის „დინამო“ — 5:5. თბილისის დინამოელები მოსკოველ მეზღვაურებთან იცდენენ 6:5, მაგრამ სტუმრებმა გაქვითეს ანგარიში — 6:6.

გუშინ თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 6:9 წააგეს მოსკოველ თანაგუნდელებთან. ვერ იქნა გათვლილებული გამარჯვებული ტამკენტის „მეხნატისა“ და ლენინგრადის „ბალტიკის“ შეხვედრაში — ფრე 6:6. მოსკოველმა არმოელებმა სძლიეს ალმა-ათის „დინამოს“ — 7:4.

დღეს თბილისის „დინამო“ შეხვდება ლენინგრადის „ბალტიკას“.

ᲑᲐᲥᲘᲨᲘ ქვეყნის ჩემპიონმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მოუგო ლვოვის „დინამოს“ — 5:2, კიევის „დინამოს“ — ვოლგოგრადის „სპარტაკს“ — 7:6. ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილის გუნდმა — მინსკის „ბურევესტნიკს“ — 5:2.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“—„ᲙᲚᲔᲕᲘ“

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ვაჟთა გუნდების მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და ტარტუს „კალევი“. ანგარიშით 99:98 (53:49) გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა.

დღეს ეს გუნდები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

6 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲡᲝᲩᲨᲘ...

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციიდან გვაცნობეს, თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მერვედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე გაიმართება კვირას, **6 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲡᲝᲩᲨᲘ.**

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ — ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ თბილისის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც რესპუბლიკური პირველობის შესარჩევი შეჯიბრება იყო. მასში 24 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანოგოსანი მონაწილეობდა. შეჯიბრება მიმდინარეობდა ე. წ. შვეიცარიული სისტემით, 8 ტურად.

ეოთხელ კიდევ გაგვახარა ნორჩმა ოსტატობის კანდიდატმა ნანა იოსელიანიმ, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 13 წელი. მან 6,5 ქულით ჩემპიონის ზოდება მოიპოვა. ახალ ჩემპიონს—130-ე სკოლის მეექვსეკლასელ მოსწავლეს ანეკდოტებს გამოცდილი პედაგოგი, ოსტატობის კანდიდატი ო. თურქესტანიშვილი.

6 ქულით მეოთე ადგილზე გამოვიდა ოსტატობის კანდიდატი ხუბულური, 5,5 ქულით მესამე ადგილზეა ნორჩი ოსტატობის კანდიდატი გეგიძე.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განუფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 02597

ხელ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

● ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲗᲔᲗᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ● Მ. ᲠᲘᲐᲓᲘ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

● ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲝᲘᲬᲕᲜᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 25 მარტი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა თეთრ სახლში გამართა თათბირი კონგრესის ხელმძღვანელებთან. თათბირზე სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა ილაპარაკა ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში თავისი მოგზაურობის შედეგების შესახებ.

პრეზიდენტმა ამ სხდომაზე სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ სახელმწიფო მდივნის მისია შეწყდა და ნაყოფი არ გამოუღია. ჯ. ფორდმა განაცხადა, რომ ამ ბოლო დღეებში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით შეერთებული შტატები აპირებს გადასინჯოს თავისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში და ეს შეეხება ვითარების ყველა ასპექტს.

ამერიკის შეერთებული შტატები, თქვა თათბირზე ჰ. კისინჯერმა, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის სხვა პრობლემებს შორის განიხილავს ქენევის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლების შესაძლებლობას.

ᲙᲐᲘᲠᲝ, 25 მარტი. (საკდესი). არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივანი მაჰმუდ რიადი, რომელიც აქ გამოვიდა არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს სესიაზე, შეეხო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას ამერიკის შეერთებული შტატების მისიის დამთავრების შემდეგ.

არაბული ქვეყნები, განაცხადა მ. რიადმა, არ იძურებდნენ ძალ-ღონეს ამ რაიონში სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის. მათ პოზიციას საფუძვლად ედო მშვიდობის კონცეფციები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები და საერთაშორისო სამართლის ნორმები. მაგრამ მათ მშვიდობიან მეცადინეობას არ მოჰყოლია სასურველი შედეგები ისრაელის ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამო, რომელსაც ყოველნაირად უჭერს მხარს შეერთებული შტატები.

მ. რიადმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთლიანად უნდა შეუწყვიტოს იარაღის მიწოდება ისრაელს, რადგან სწორედ ამერიკის იარაღი აქვეხებს ტელ-ავივს განაგრძოს არაბული ტერიტორიების ოკუპაცია, განსხორციელოს ექსპანსიონისტური პოლიტიკა.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 25 მარტი. (საკდესი). როგორც ტელ-ავივიდან იუწყებიან, ისრაელის პარლამენტმა მიიღო უფლებაცია, რომელიც იწონებს მთავრობის პოლიტიკას არაბული ქვეყნების მიმართ. როგორც ცხობილია, ამ პოლიტიკის შედეგად კვლავ სპაშია ვითარებაა ახლო აღმოსავლეთში და დაბრკოლებანი ექნება მდგომარეობის წმვიდობიან მოწესრიგებას.

ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲤᲔ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 26 მარტი. (საკდესი). ერ-რიადში მაჰმადიანური ღვთისმოსაგალობის დროს სასახლეში გამართული ცერემონიის დროს 25 მარტს სასიკვდილოდ დაჭრეს საუდის არაბეთის მეფე ფეისალი. მეფეს თავს დაესხა მისი ძმისწული პრინცი ფეისალ იბნ მუსაიდი.

საუდის სახელმწიფოს ახალ მეფედ გამოცხადებულია მეფის ძმა პრინცი ჰალედ იბნ აბდელ აზიზ ას-საუდი, რომელსაც წინათ პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა.

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲬᲝᲜᲔᲡ

ᲓᲔᲚᲘ, 26 მარტი. (საკდესი). ინდოეთის ცენტრალური პარლამენტის სახალხო პალატამ მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება, რომ შემოიღოს საარეზდენტო მმართველობა ჩინეთის მოსაზღვრე ნაგალენდის შტატში. როგორც დეპუტატების წინაშე განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრაჰმანანდა რედიმ, საარეზიდენტო მმართველობის შემოღება იმით არის განპირობებული, რომ საეროო ალდგენონ შტატში პოლიტიკური სტაბილურობა, რომელსაც ირღვევენ